დანართი N1
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2024 წლის 26 სექტემბრის #142 ბრძანებით

მოლდოვას რესპუბლიკის კვლევისა და განვითარების ეროვნულ სააგენტოსა (NARD) და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
2024 წლის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. მოლდოვას **რესპუბლიკის კვლევისა და განვითარების ეროვნულ სააგენტოსა (NARD)** და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულება (შემდგომში- დებულება) აწესრიგებს კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და პროექტების განხორციელების მონიტორინგის წესს.
2. კონკურსი ითვალისწინებს ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების (კონფერენცია, სიმპოზიუმი, კონგრესი, სემინარი და სხვა.) განხორციელებას.
3. კონკურსი ცხადდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 დეკემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის თანახმად.

2. კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს :

ა) მეცნიერების სფეროში საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერთა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის განვითარებას;
გ) ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.

3. კონკურსი მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;
გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
დ) აგრარული (სოფლის მეურნეობის) მეცნიერებები;
ე) სოციალური მეცნიერებები;
ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები.

4. კონკურსის ქვემიმართულებები დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 დეკემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროექტების ფარგლებში მონაწილეობისა და პროექტის წარდგენის უფლება აქვს:

ა) საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფს და მოლდოვის მეცნიერთა ჯგუფს ერთობლივად;

ბ) საქართველოს მეცნიერთა ჯგუფი შესაძლოა იყოს ფიზიკურ პირთა ჯგუფი, მაგისტრანტი, დოქტორანტი, მაგისტრი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს;

გ) საქართველოს მეცნიერთა ჯგუფს უნდა ჰყავდეს **პროექტის ხელმძღვანელი**, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, პირი პროექტის ძირითადი პერსონალის შემადგენლობიდან, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და პასუხისმგებელი იქნება პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე;

დ) პროექტს უნდა ჰყავდეს **ძირითადი პერსონალი**/მეცნიერთა ჯგუფი საქართველოდან – გრანტის მიმღები ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს მაგისტრანტი, დოქტორანტი, მაგისტრის ან დოქტორის, ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი; გრანტის მიმღებები შესაძლებელია იყვნენ მეცნიერთა ჯგუფის ის წევრები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები.

ე) პროექტს შესაძლოა ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** ძირითადი პერსონალის გარდა, პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა.

ვ) საქართველოს მეცნიერთა ჯგუფი და მოლდოვას მეცნიერთა ჯგუფი ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროექტს წარადგენენ ჯერ NARD-ის ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე, ხოლო შემდეგ, პროექტის ქართულ და ინგლისურ ვერსიებს – ფონდში.

ზ) ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიების პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს.

თ) ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიება დაგეგმილი უნდა იყოს 2025 წლის 1 თებერვლიდან.

მუხლი 3. პროექტის ბიუჯეტი და ძირითადი ფინანსური მოთხოვნები:

1. საკონკურსოდ წარდგენილი ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიების პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს - **20 000 (ოცი ათასი) ლარს.**

2. ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) მივლინება;

დ) საქონელი და მომსახურება;

ე) ძირითადი აქტივები.

3. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

4. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

5. გრანტის თანხებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა-ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის/ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მობილური ტელეფონის შეძენა.

6. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. კონკურსზე რეგისტრაციის წესი და საკონკურსო დოკუმენტაცია

1. კონკურსში პროექტების რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) ელექტრონული რეგისტრაცია - NARD-ის ელექტრონულ სისტემაში მისამართზე: international@ancd.gov.md და შემდეგ ფონდის ელექტრონულ ბაზაში **26 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის 18:00 საათამდე;**

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - **31 ოქტომბერი 17:00 საათი;**

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) **კრებსითი ინფორმაცია** პროექტის შესახებ (დანართი 2, ივსება GMUS -ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) **პროექტის რეზიუმე** ქართულ და ინგლისურ ენაზე (დანართი 3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) **საპროექტო წინანდადება** ქართულ და ინგლისურ ენაზე (დანართი 4, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

დ) **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** ქართულ და ინგლისურ ენაზე (დანართი 5, ივსება GMUS-ში);

ე) **პროექტის ბიუჯეტი** ქართულ და ინგლისურ ენაზე (დანართი 6, ივსება GMUS-ში);

ვ) **პროექტის მონაწილეების პროფესიული ბიოგრაფია - CV** ქართულ და ინგლისურ ენაზე (დანართი 7, იტვირთება GMUS პროფილიდან);

ზ) ცნობა თანადაფინასების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქართულ და ინგლისურ ენაზე, (დანართი 8, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

თ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების **აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები** (დიპლომი, სერთიფიკატი, დოქტორანტის /მაგისტრანტის/ რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება (იტვირთება GMUS-ში მეცნიერის პროფილის „განათლების“ ველში);

ი) ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების ერთობლივი **„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“** (დანართი 9, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებით;

კ) ბიუჯეტის კლასიფიკატორი (დანართი 10).

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპები

1. კონკურსის ადმინისტრირების ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტის წარდგენა ჯერ NARD ელექტრონულ სისტემაში და შემდეგ ფონდის ელექტრონულ ბაზაში (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

გ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;

დ) პროექტების შესაბამისობის დადგენა კონკურსის პროგრამასა და პირობებთან;

ე) პროექტების შეფასება კომისიის მიერ;

ვ) ფონდისა და NARD-ის შეთანხმების საფუძველზე შერჩეული დასაფინასებელი პროექტების დამტკიცება გენერალური დირექტორის მიერ;

ზ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება;

თ) საგრანტო კონკურსის დაფინანსება დაიწყება 2025 წლიდან.

მუხლი 6. პროექტთა შეფასების კრიტერიუმები

1. კონკურსში ფასდება ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროექტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 დეკემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

2. ფონდი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

3. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კომისიას;

4. კომისიის თავჯდომარეს ირჩევს კომისია საკუთარი შემადგენლობიდან;

5. ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროექტების კონკურსის ფარგლებში შეფასდება მხოლოდ ერთობლივად წარმოდგენილი პროექტები.

7. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

ა) გრანტის მიმღები ვალდებულია შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ვებგვერდს, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია ღონისძიების შესახებ;

ბ) ღონისძიების ვებგვერდზე სავალდებულოა განთავსებული იყოს შემდეგი ინფორმაცია: ღონისძიების დასახელება, ღონისძიების მიზანი, ღონისძიების ჩატარების ანონსი, ღონისძიების ჩატარების თარიღი, ადგილი, ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველთათვის რეგისტრაციის ვადები და ფორმები და სხვა;

გ) პროექტის დასრულების შემდგომ, სავალდებულოა გამოიცეს ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიების ამსახველი მასალების/მოხსენებების კრებული ქართულ და ინგლისურ ენაზე (ბეჭდურად ან ელექტრონულად);

დ) საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა "შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, 2024 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში ";

ე) ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

მუხლი 8. საგრანტო ხელშკრულება

1. ფონდისა და NARD- ის მიერ დასაფინასებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებათა გაფორმებას პროეტში მონაწილე ძირითად პეროსნალთან;
2. გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის, ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში, ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (ტერმინი „ნაწარმოები" გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს);
3. ფონდი უფლებამოსილია, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე პერიოდის საერთო ბიუჯეტის 20%-ის ფარგლებში.

მუხლი 9. პროექტის შეფასების მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის სამეცნიერო მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

4. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას; ამასთან პროექტის ბიუჯეტის დასაბუთებაში მითითებული ჩანაწერებისგან განსხვავებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებს მოსთხოვოს დამატებითი დასაბუთება გაწეული

ხარჯის მიზნობრიობის დასადგენად და მიღებული განმარტებით იხელმძღვანელოს ხარჯის მიზნობრიობის განხილვისას.

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი, დაუსაბუთებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას.

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, რაც ექვემდებარება ბიუჯეტში დანრუნებას.

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

5. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს. ფონდი არ არის უფლებამოსილი თავად შეაფასოს დასრულებული პროექტის სამეცნიერო ღირებულება და არ არის პასუხისმგებელი პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებათა შედეგებისათვის.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგად მიღებული აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინასებას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ან / და ანგარიშში წარმოადგინა ყალბი ინფორმაცია.

3. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობების დარეგულისრდეს საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში, წარმოდგენილია ფინანსური და პროგრამული ანგარიშები , ფონდის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.